

სახალხო გაზეტი

საქართველო-საქართველო
გაზეთის № 558
დაგასტვის № 98
კვირა, 25 მარტი 1912 წ.



ქრისტე აღსდგა! — ნახატი გიგო გაბაშვილისა.

გამცემი

ღრამა 3 მოქმედებად და 2 სურათად.

(შემდეგი *).

ელენე. რაცა ხანია გაიღვიძა... ერთი საათი იქნება პაჭუა აზნაური მოვიდა, ჩაიკეტნენ ოთახში და რაღასაც ლაპარაკობენ... დედას როგორღაც არ შეუძლიან... სადილს უკან ორჯელ ისეთი საშინელი გულის ფრიალი მოუვიდა, რომ ძლივს გამოვებრუნე... თითქოს რაღაც აწუხებს და კი არას ამბობს...

ღარია. (გამოდის ტერასაზე, მიბრუნდება კარებში, ელაპარაკება) გმადლობთ, გმადლობთ, ბატონო პავლე, ნახვამდის... ბოქაულს გადაეცით, ერთი სიტყვით ისე დამავალეთ, რომ არ ვიცი რითი უნდა გადაგიხადოთქო... სთხოვეთ ჩემს მაგივრად, ხვალ სადილად უსათუოდ გელითქო... თქვენც რასაკვირველია გთხოვთ... ნახვამდის... დიდად გმადლობთ... (ჩამოვა, მივა არჩილთან, მოეხვევა, ჩაიკრავს გულში და დიდხანს ჰკოცნის) უიმე, შვილო, ნეტა რა საშინელ განსაცდლეს გადავირჩი!.. გმადლობ შენ უფალო, ძე ღვთისავ!... რომ მომაგონდება ლამის არის ჰკუაზე ავირიო...

არჩილ. (დასვამს სკამზე) რა ვქნა, დედა, დღეს თითქმის მთელი დღე ხიფათზე და განსაცდელზე მესმის და ვერ კი გამიგია რაშია საქმე?...

ღარია. შვილო!.. რომ იცოდე... ქა, ჩემო გვრიტო, ჩემო ბიჭიკო... შენ... შენ?... უწინამც სული დამელიოს... ვის რა დაუშავე? ღმერთო, ღმერთო... რა ჯოჯოხეთს გადავრჩი... შვილო, როგორ არ მაჩვენე, გენაცვალოს ჩემი თავი, ის წერილი?... კარგი რომ შემთხვევით ხელში ჩამივარდა, თორემ ხომ სულ დავიღუპებოდი...

არჩილ. მაშ იმ უცნაურმა წერილმა ავაშფოთათ და აგრე გული გაგიხეთქათ?..

ღარია. ღმერთმა დაულოცოს მარჯვენა იმ წერილის დამწერს, მაცხოვარმა უფალმა ბედნიერება მიანიჭოს იმ წერილის მომტანს... რაზე დავიღუპებოდი... სწორედ ღვთის განგება იყო... შენ კაბინეტში შევედი, მაგიდაზე გახსნილი წერილი დავინახე, მინდოდა უჯრაში ჩამედო, მაგრამ ჩემ ბედზე თვალი მოვკარ, რაღაც უცნაური ხელი იყო... დავაკვირდი, წავიკითხე და შენ მტერს ელდა ეცეს რაც მე დამემართა... იქვე მუხლებში ჩავიკეცე... კინალამ გულს შემომეყარა... ღმერთმა მიშველა, ძალა მოვიკრიფე, საჩქაროდ ბარათი დავწერე და იმ წერილთან ერთად ბოქაულთან ვაფრინე...

არჩილ. სწორედ მეც აგრე მეგონა, რომ მთელ აურ-ზაურს ასტეხდით... რა საჭირო იყო, დედა, რაღაც სულელურ წერილისთვის მთელი ისტორიის გამოწვევა... ვინ იცის, ვინმე იხუმრა და თქვენ კი...


ღარია. უიმე, შვილო, ღმერთმა დაგვიფაროს და ყოველთვის აგვაცდინოს მაგნიარ ხუმრობისგან... შენ არ იცი, შვილო, ის წერილი რასა ნიშნავდა... ღმერთმა დიდი დღე მისცეს ჩვენ ბოქაულს, ის არის ჩვენი მხსნელი და მფარველი... რა წამს ჩემი წერილი მისვლია, მაშინათვე ზოგები მიუღია, ასლანიანთ ორლობესთან ჩასაფრებულა და სამი შეიარაღებული ავაზაკი კი ჩაუგდია ზელში... ერთი კი გაჰქცევიათ და ორნი კი დაუტყვერიათ. თურმე ნუ იტყვი... ისინი შენ გელოდებოდნენ... და... უიმე... უწინამც დღე დამელევა... თურმე, შვილო... (მოეხვევა და ჰკოცნის) ნეტა რა საშინელებას გადავრჩით...

არჩილ. უცნაური ამბავია, სწორედ გითხრათ... ახლა საიდგან გაიგეს რომ ისინი სწორედ ჩემი გულისთვის მოსულან?... მგონია ეგ უფრო ბოქაულის ფანტაზია უნდა იყოს...

ღარია. რა პასუხია, შვილო?... ის გამაფთხილებელი წერილი რაღა იყო... მერე ის ურჯულოები, თურმე სულ თავიდან ფეხებამდინ შეიარაღებულნი ყოფილან...

ელენე. (მოეხვევა არჩილს) არჩილ, გენაცვალე... რა უბედურებას გადავრჩინილვართ!..

ღარია. (ნინას) შვილო, ნინა! რატო ისე გაფითრდი?... შეგეშინდა განა?... მართლა და საშინლებას გადავრჩი.



ღრამატურგი
† გაბრიელ ნიკიტის ძე სუნდუკიანი
გარდაიცვალა ტფილისში 16 მარტს, ღამის 10 საათზე.

ნინა. დიახ, მადლობა ღმერთს, რომ აგრე მოხდა...

არჩილ. (ნინას) დიდად გმადლობთ... მაგრამ ეს მე მაინც არა შეჯერა...

ღარია. შვილო, როგორ თუ არა გჯერა?... პაჭუამ სულ დაწვრილებით მიამბო... ბოქაულს მაშინათვე ჩემთან გამოეგზავნა დასამშვიდებლად... პაჭუა პავლემ ისიც მითხრა წინადაც ექვი გექონდაო, თვალყურს ვადევნებდითო... მართალია, შვილო, ის კი დამავიწყდა, წარმოიდგინე კრება გადაუღვიათ... მარშლის დევეშა მიუღიათ დღეს ვერ მოვალო... დაშლილან და თამრიკო და ასლანი ჩვენსა თურმე აპირებენ მოსვლას, რაკი გაუგიათ ის საშინელი ამბავი... გენაცვალეთ, ნეტა ვისთვის რა დაგვიშავებია?... არა, შენ, შენ... ჩემო ბიჭიკო, ჩემო სიცოცხლე... შენ როგორ უნდა გაგიმეტონ?... რეები არ მიპბო პაჭუამ... რამდენი ვერაგობა და სიბოროტე არის ზოგიერთ ადამიანში... ქა, ეს ვინ მოდის (იხედება მარცხნა) მარიკო... იმ... იმ... ვაჟბატონს რაღა უნდა აქ?... ნეტა რა პირით უნდა მობძანდეს?... როგორ გაჰბედა? (ყველანი იქით იხედებიან. შემოდინან მარიკო და შაქრო).

არჩილ. შაქრო! (ღარიას დაბლა ხმით) გეხვეწებით, დედა, თუ გიყვარვართ... შაქროს კარგად მოექეცით... (გაიწვეს შაქროსკენ) რა კარგად მოგიფიქრებია, შაქრო!.. სწორედ გულთმისანი ყოფილხარ... წარმოიდგინე, კრება გადაუღვიათ... ეს არი ახლა შევიტყე... ასე რომ ჩვენი საერთო სურვილი ასრულდა...

შაქრო. გადაუღვიათ?... კარგია... (თავს დაუკრავს ღარიას, ელენეს და ნ-ნას ხელს ჩამოართმევს).

მარიკო. სალამომშვიდობისა ქალბატონო! (არჩილს) ჩამაცივდა გინდა თუ არა წაგიდეთო...

ღარია. ჯერ სულ ფეხი აშოიკვეთა... ორი წელიწადი არაფრად გვაგდებდა... აღბად მადლობის მაგიერი იყო... და ახლა რითი დავიმსახურეთ ეს ბედნიერება, რომ გვიკადრა და მობძანდა?..


არჩილ. დედა!

ელენე. ჩვენა ვთხოვეთ და ჩვენი თხოვნა აასრულა... დაბძანდით შაქრო... მარიკო, აი ასე მობძანდით... (არჩილი სკამს სთავაზობს შაქროს. მარიკო ელენეს გვერდით ჯდება).

მარიკო. (ღარიას) ქალბატონო!.. აპატიეთ... ხომ მოგეხსენებათ ბავშვია... თქვენთან ბევრითაა დამნაშავე...

ღარია. რა ვიცი ეგ კი ისე იქცევა თითქოს ჩვენ ვიყვნეთ მაგის წინაშე დამნაშავენი... არ ვიცი საიდან გამოჰყვა ეგ ამპარტავნობა და უჰადურობა?... იმის მაგივრად რომ ჩვენ გავწყრომოდი, ეგ გვიწყრება...

*) იხ. სურათებიანი დამატება, № 97.



† იოსებ ივანეს ძე რატილი
გარდაიცვალა ტფილისში 17 მარტს.

არჩილ. მეც ვერ გამოვიგა ამათ დაქერას ჩემთან რა დამოკიდებულობა აქვს... ბოქაული კი თურმე დარწმუნებულია რომ ისინი მოკვლას მიპირებდნენ...

მარიკო. უიმე ქა... აი ამოვარდნენ ძირიან ფესვიანად ის დასამიწებელნი...

არჩილ. ბოქაულს რასაკვირველია გარდა იმ წერილისა სხვა საბუთი არა აქვს რა...

შაქრო. (წაბარბაცდება) უკაცრავად... თავს ცუდათა ვგრძობ... წავალ... (არჩილი და მარიკო მიეშველებიან, ნინა და ელენეც მისკენ იწევენ).

მარიკო. შვილო... უი დამიდგა მე თვალები... აბა რო იძახდი წავალ... ვიცოდი რომ უქეიფოდა ხარ...

არჩილ. (ელენეს) ელენე... უბრძანე წყალი... ვალერიანის წვეთი ჩავაყლაპოთ... შაქრო, დაჯექი... შენ როგორც გატყობ... გული ვერ გექნება კარგად... (ელენე მიდის დასაძახებლად).

შაქრო. ნუ სწუხდებით... გმადლობთ... გამიარა (ელენე შესდგება) შინ უნდა ვიახლოთ... დარჩენა არ შემძლიან... მეორედ გნახავთ... ნახვამდის... (მიდის. მარიკო თან მისდევს).

არჩილ. (გამოეკიდება) მაშ მეც გაგაცილებთ...

შაქრო. არა, არა... გმადლობთ... საჭირო არ არის... ნუ შესწუხდებით... გამოვიღის (შაქრო და მარიკო გავლენ).

არჩილ. სწორედ სერიოზული ავადმყოფობა რამ დასჩემდა... ძალია უნდა დავატანოთ და ექიმს ვაჩვენოთ...

დარია. მადლობა ღმერთს, ჯერ სინდისი სავსებით არ დაუკარგავს... ხედავ სინდისის ქენჯნას?... თუ, ბრაზი მოუვიდა, რომ საზარელი განზრახვა ვერ აღსრულდა?..

არჩილ. დედა, რასა ბძანებთ?... რატო ისე ლაპარაკობთ?..

ელენე. დედა!.. ეგ რამ გათქმევინათ?... რა შუაშია შაქრო?... მეტის-მეტი გადაქარბებული ექვიანობა იცით...

დარია. ნეტა რას მიჭქარავ?... როცა არა იცი რა—ნურც ლაპარაკობ... ნუ თუ აქნობამდისინ ვერ მიხვდი რა ვაჟ-ბატონიცა ბძანდება ეგა... არჩილი აქ არ იყო და შენ ხომ შენი თვალითა ხედავდი ეგ უსვინიდისო რას ჩადიოდა... ვინ ავვიღელვა მთელი გლახობა?... ვინ გადარია?... მოსამსახურეებიც კი არ დაგვიყენა... მარიკოს დიდი ხათრი, თორემ მე მაგას შევარჩენდი?... ოხ, რა რიგად დავაშავე, სულელობა გავწიე, რად გამოვაშვებინე ციხიდან, როცა დაამწყვდიეს... ო-ო, შვილებო, თქვენ არ იცით რა უსაზღვროდ ბოროტი და ვერაგი ადამიანია... სწორედ გველი გამოვზარდე ჩემ ოჯახში, გველი... აბა იტყვიან, შთამომავლობა რა არისო... გლახი?... რამდენიც გინდა ასწავლე, გაანვითარე, გაანათლე მაინც ვერაგი და ბოროტი დარჩება... რაც გინდ სიკეთე დააყარე, ამაგი გაუწიე... მაინც სულ იმ ფიქრშია, როგორმე გიმტროს... ზურგიდან ხანჯალი დაგცეს... მაგ უსვინიდისო შაქრუსგან ყოველისფერს მოველოდი და ამას კი როგორ მოვიფიქრებდი.

არჩილ. თქვენ, დედა, დღევანდელმა შევთხვევამ ისე აგადელვავთ, რომ ახლა მეტის-მეტად უსამართლოდა სჯით.

შაქრო. (წამოდგება) მართლა და... მგონია ჩემი მოსვლა უადგილოა... უკაცრავად... უკაცრავად... ვიახლოებით...

არჩილ. (მოეხვევა და დასჯამს) რას ამბობ შაქრო?... ძლივს რის ყოფით მოხვედი და ახლავე გინდა გავვექცე... დედა სიტყვით კი მაგეებს ამბობს და გულში კი შენი მოსვლა, ვიცი, ძრიელ იაზა... ახლა, დედა, საყვედურებს თავი დაეანებოთ... ჯერ ერთი მე შაქროსთან მეტად საჭირო საქმე მაქვს... მე თავად ვთხოვე რომ მოსულიყო და მადლობელიცა ვარ რომ თხოვნა ამისრულა... მეორეც ესა—რაც იყო მორჩა, გათავდა... რაც უნდა მოხდეს შაქრო ჩემთვის მანც ის იქნება, რაც აქნობამდისინ იყო...

მარიკო. (დარაას) უქეიფოთა მყავს, გენაცვალეთ ქალბატონო... ეს ორი დღეა რაღაც თავბრუსხვევა დასჩემდა... დღეს დილით ისეთი ცუდად გამიხდა, რომ ვერ წარმოიდგენთ... ბერუანთ ფეფელამ წამალი მასწავლა, მაგრამ ვერას გზით ვერ დავალეინე... სულ იმას ვაიძახხის კარგადა ვარო... მაგრამ მე ვერა ვხედავ?..

არჩილ. არა უშავსრა... ახლა ჩვენ მოვარჩენთ... ოთხ კედელს შუა ჩაკეტლია და როგორ შეიძლება... წარმოიდგინე, შაქრო, დღევანდელ დღეს უცნაური ამბები ხდება... ჯერ იყო და უცნაურზე უცნაური წერილი მომივიდა...

შაქრო. წერილი?..

არჩილ. უსახელო... მათუხილებდნენ საღამოზე ნურსად წახვალო... ეს წერილი რას შევაჩერებდა, რასაკვირველია კრებაზე წავიდოდი...

დარია. გმადლობთ შენ ღმერთო, რომ ის წერილი მე ხელში ჩამივარდა...

არჩილ. წერილი მაგიდაზე დამრჩენია, დედას უნახავს და...

შაქრო. (წამოდგება. აღელვება ეტყობა) მერე?..

მარიკო. შვილო, რატო ისე გახდი... ვაიმე, კიდევ ხომ არ მოვიარა?..

შაქრო. (ჯდება) არა, თითქოს გული ამიფრიალდა... არაფერია... (არჩილს) მერე?..

დარია. მერე, და ის წერილი პირდაპირ ბოქაულს გაუგზავნე... ჯერ კიდევ ბევრი კეთილის მსურველი გვყოლია... ღმერთმა დაულოცოს მარჯვენა წერილის დამწერს და მომტანს...

არჩილ. წერილს კი მე არაფრად ვაგდებ, მაგრამ შედეგი კი ვერაფერი მოჰყოლია...

შაქრო. მოჰყოლია?... მაინც?..

არჩილ. ბოქაულს სამი ვილაცა დაუქერია, თურმე ვითომ მე მელოდნენ... ერთი გაჭკეცვიათ და ორნი კი დაუმწყვდევია...

შაქრო. (წამობტება) დაუქერიათ?... მერე რა შუაშია?..



ჰაჯი ზეინალ აბდილ ტაგიევი, ბაქოელი მილიონერი.

რაც შეეხება შაქროს მოქმედებას და ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებას—ეს ადვილი ასახსნელია... ყველა იმ მიმართულებებისა, რომელსაც შაქროს ემსახურება, ასევე მოიქცეოდა... მეორეც ესა ეგ ყოველისფერი გათავდა და ახლა ხელ-ახლა რად უნდა ავტებოთ... მე დარწმუნებული ვარ თითონ შაქროს ჰგონობს რომ შემცდარი იყო... არ უნდა აპყლოდა ფანტაზიას და ოცნებას...

დარია. გეუბნებით, შვილო, თქვენ ჯერ არაფერი იცით... პაქუამ დაწვრილებით მიაშობო... შენ იცი ის დღევანდელი საზარელი განზრახვა საიდან მომდინარეობს?... პაქუას თავის თვლით დაუნახავს, აბა თქვენთან რას დავმაღავ, თურმე მაგ ვაჟბატონთან გუშინ სამი ვიღებებიც მისულს და როგორც პაქუამ დამარწმუნა ის ორი დაქვრივლი ორი იმთავანს წაგაგვენო... გაიგე? სხვა საბუთებიც ბევრი ჰქონია ბოქაულს... ბოქაული დარწმუნებულია და პაქუაც გადაჭრით ამბობს, რომ თავი და თავი ამ საზარელ საქმისა სწორედ შაქრუა ბძანდებო... ადვილი დასაჯერებელიც არის. წელანდღვლა მისმა საქციელმა ხომ სავსებით დამარწმუნა რომ სწორედ აგრეც უნდა იყოს... დიახ, მაგ უსვინდისოს... მაგ პირშავს განუზრახავს შენი...

ნინა. (წამოხტება, თითქმის შეჭკივლებს) ტყუილია... ცილის წამება... ნება არა გაქვთ... (ელენე შეკრთება და ნინას დასამშვიდებლად მიეშველება, არჩილიც იმისკენ იწვევს. დარია წამოდგება. მოკლე პაუზა).

დარია. როგორ... შენ... შენ?... შენ მაკადრებ მაგას... ტიტველშიშველი აგიყვანე... სამადლოდ გინახავ და მაგას მაკადრებ?... აი კიდევ ერთი მაგალითი... შე უსირცხვილოვ... შე რა იმის დამცველი ხარ?... შენ საიდან რა იცი?... ჰო-ო, ახლა-კი მჯერა თამრიკოს სიტყვები... მე-კი შენი გულისთვის საცოდავი ქალი ისე ვაგზადე... ქა, ქა... ეგებიც დაგიწყვიტა?... ჩემ სახლში, ჩემ ოჯახში... საყვარლებსაც იჩენ?... შე უნამუსო!...

არჩილ. დედა, დედა! რა დაგემართათ?...

ნინა. (წინ წამოიწვევს) დიახ, არ დაგიმალავთ... შაქროს მიყვარს და ვამაყობ რომ ისეთი პატიოსანი ადამიანი ავიჩიე... არა, ჩემი საყვარელი არ გახლავთ... მაგრამ სიტყვა კი ერთმანეთისთვის მიცემული გვაქვს...

დარია. შეგიტყვებს ეგ ნამუსი... რომ არცა მალავს?... კარგი სწორი და ტოლი ავიჩიევა შენმა სიცოცხლემ... ვილაც გლახაქუა და ავაზაკი... მაშ შენც, შენც ამხანაგი ყოფილხარ ამ საქმეში...

ნინა. რაც შეეხება იმ საშინელ ბრალდებას, რომელიც აქ წარმოსთქვით... მე ხოლო თქვენსა სიტყვებს გავიმეორებ: დაილოცოს ის მარჯვენა, რომელმაც წერილი დასწერა... შაქროს შესახებ საზარელი ცილისწამებაა... ის წერილი... მე... მოვიტანე... (ელენე სიხარულით გადაეხვევა).

არჩილ. თქვენ?... ვისგან იყო?...

ნინა. (ცოტა სიჩუმის მერე) შაქროსგან!.. (მიიფარებს ხელებს პირზე და გასწევს სახლისკენ. ელენე დაედევნება. დარია მძიმედ სკამზე დაეშვება. არჩილი მას დაატყერდება).

ფ ა რ დ ა .

მოქმედება მისამა.

დეკორაცია პირველ მოქმედებისა. **შაქრო** ტახტზე წამოწოლილია. **მარიკო** გვერდით უზის.

მარიკო. როგორა გრძნობ თავს, ჩემო სიცოცხლე? სიტყმე მგონია ახლა კი თავი დაგანება?... (შუბლზე ხელს დაადებს) შუბლი თითქოს გახურებულია... ცოტა ფერზე კი მოხვედი აი... შენ გენაცვალოს დედა შენი, იქნება ცხელ-ცხელი რძიანი ჩაი ვიამოს?... ცოტა მაინც შეხვრიპე... მოგაყუათებს... (შაქრო ხელს გაიქნევს) რა არი გენაცვალოს ჩემი თავი... შიმშილით ხომ თავს არ მოიკლავ?... ეს ერთი კვირაა ხეირიანად ჰური არც კი მივირთმევი... სხვა არა იყოს რა, სისუსტისგან დაიღვევი... ჩემო ბიჭიკო, ხომ გათავდა, მორჩა ის საზარელი საქმე... საშინელი ცილისწამებაც ხომ თავიდან მოგვმორდა... იმ დღეს თამრიკო სულ თავს მევლებოდა... რა ბოდიშები და რა თხოვნა ხვეწნა... „სულ პაქუას ბრა-

ლიაო... იმან მოუგონაო“... შენი ბოქაულიც კი თურმე სულ თავში იცემდა, ეს რა სისულელე მოჰვიდაო... არა-თქვენი ჭირიმეთ ჭორი, ცილისწამება და მაგნიარი... შენ არჩილს სასიკვდილოდ გაიმეტებდი... არ შერცხვავთ, როცა აღმოჩნდა, რომ პირიქით შენ გადავიჩინე... ი წერილი, მადლობა ღმერთს, ხომ იქ არი... ვენაცვალე ჩემ ნინას რა უჩაღათ მოიქცა... ის პირშავი თამრიკო კი თურმე საცოდავს სულ თავზედ ლაფს ასხამდა... რეგბს თურმე არ აქორბდა... როგორც თავად აშარია ისე ყველა ჰგონია... მაგრამ ღმერთი სიმართლეს ყოველთვის გამოაჩენს... ოხ, შაქროჯან, რა მძიმე ავადმყოფი მყავდი... სამი დღე და ღამე ისეთი გავარვარებული სიცხე გქონდა, ისე პოდავდი, შფოთავდი, რომ მეგონა სწორედ შვილი ხელიდან მეცლება მეთქი... ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს არჩილი... ის რომ არ შემსწრებიყო, არ ვიცი რა დამემართებოდა, ნამდვილად გავგიჟდებოდი... ენაცვალოს ჩემი თავი, დოხტურიც მოიყვანა, წამალიც აუარებელი... მთელი ერთი ღამე, შენ რომ ძრიელ შეწუხებული მყავდი არჩილმა და ელენემ აქ გაატარეს, თვალი არ მოუთვლემიათ... მადლობა ღმერთს ეს მესამე დღეა გამოკეთება გეტყობა... ერთი ორი დღე კიდევ და სრულებით კარგად გამიხდები...

შაქრო. ვბოდავდი?... რასა ვლაპარაკობდი?...

მარიკო. რეგბს არა ლაპარაკობდი... ერთხელ არჩილი აქ იყო... საშინელი სიტყვები გქონდა... უცბად წამოხტი, საბანი გადისროლე... „ნუ ესვრითო... ნუ მოჰკლავთო“!... ხან იმას იძახდი: „არჩილ, არჩილ, ნუ წახვალო... დარჩი, დარჩიო“... ალბად მარტოდ ჩემთან დარჩენისა გეშანოდა... არჩილიც შენ გეხვეოდა, გკოცნიდა... „აქა ვარ, აქ ვიქნებიო, ჩემო შაქრო!“... მე გული მისკდებოდა... ოხ, ღმერთო რა დღეები გამოვიარე... ხანდისხან ღამე დაიყვრებდი ხოლმე: „დედა, დედა, წერილი რა უყავიო?“ ხან სიკოს იგონებდი... ავადმყოფობაშიაც კი ჩაგყვა ის პირშავი. მეტადრე ერთ დღეს ისე დაფინებით ეძახდი, რომ ნინამ კიდევ მითხრა: „მიეწვროთ, დავიბაროთო“... სწორედ იმ დამთხვეულს აქ დავიბარებდი... ან ვინ იცის სად დაეხეტება... სად უნდა გვეძებნა?... ოხ, შვილო რითი გადაუხედი მე არჩილს და ელენს ამოდენა ამაგს... ეგენი რომ არ შემსწრებოდნენ რა უნდა მექნა?... მე ნინას არა ვსთვლი... ის შვილად მიმაჩნია... ოხ, იმანაც კი რამოდენი ტანჯვა გამოიარა... ძრიელ შეწუხებული რომ მყავდი ის საცოდავი ისე გაქვავდა ისე... აღარც ჰამა აღარც სმა... მთელი დღე და ღამე აი ამ სკამზე გაატარა...

შაქრო. შენ დაგტანჯე, ჩემო დედო!...

მარიკო. უიმე, ქა... ჩემო მარგალიტო, რას ამბობ?... შენ კარგად გამიხდი, და ახლა ასე მგონია ოცი წლით გავყმაწვილდი მეთქი... ისე მიხარია, ღამის არის ამ დროულმა დედაკაცმა ლეკური ჩამოუარო... ზოგი ახლა არჩილის და ელენეს სიხარული ნახე... და დაიჯერებ დიდმა ქალობატონმაც კი მომილოცა: „ვერ წარმოიდგენ როგორ მიამა შაქროს კარგად ყოფნაო“... ნინას შესახებ სიტყვა ჩამომიგლო... წინააღმდეგი არ არის... „თუ კი უყვართ ერთმანეთიო, რა უყოთო“... ისიც კი დაუმატა „ჩემი სახლიდან ტიტველას არ გაუშვებო“... ერთი სიტყვით, შვილო, ოღონდ კი შენ კარგად იყავი და ყოველისფერი მოეწყობა... მაგრამ საცოდავ ნინას კი რაღაცა ემართება ამ ბოლო დროს... თანაც მაკვირვებს ის ქალი... სანამ ცუდად იყავი არა გშორდებოდა... დილიდან საღამომდის აქ იყო... რა წამს გამობრუნება შეგეტყო, ამოიკვეთა ფეხი... არჩილი და ელენე რა წამს დამინახვენ მაშინათვე იმას მეკითხებიან: „შაქრო როგორ არისო, ან რას აკეთებსო“?... სულ დაწვრილებით გამომკითხავენ შენ ამბავს, სკამს რასმეო, წამალს ხომ დროზე სვამსო?... ის ქალი კი, ნინა, კრინტს არ დასძრავს ხოლმე... ერთხელაც არ უკითხნია და წარმოიდგინე მერიდება კიდევ... დღეს კი ვერ მოვითმინე და ვკითხე, რა ამბავია მეთქი?... როგორღაც აირია, თავად გაფითრებულია და უფრო გაფითრდა... „საქმე ბევრი მაქვსო, თანაც დაუმატა, მეშინიან კიდევ ყბედობა არ დაიწყონო“... რაღაც კი მოსდის მაგ ქალს... ავად თუ არის და მალავს?... ეგ არ ვიცი... ელენესაც შევეკითხე... ისიც იმას ამბობს ნინას რაღაცა აწუხებსო... მე დღეს ნინას მაინცა ვთხოვე, გადმოდი, შაქროს შენი ნახვა იამება მეთქი... დამპირდა გადმოვალო...

ი. გედევანიშვილი.

(შემდგომი იქნება.)